ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1965191

ნომერი: AR1316303

თარიღი : 07.06.2015

გაცემის თარიღი : 19.06.2015

გაცნობის თარიღი : 19.06.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გლდანი , მიკრო/რაიონი "ა" , ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ., (ნაკვეთი N18/73) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკა გიგაშვილი პ/ნ 01017055357
- თბილისი რუსთავის გზატ. N 28ა ბ. 31

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24.04.2015 წლის #1857818 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2015 წლის 7 ივნისის AR1316303 განაცხადით მომართა ი.ბ.ა. ,,გლდანი-999"-ს წარმომადგენელმა ნიკა გიგაშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 24.04.2015 წლის #1857818 ბრძანებაში ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური ხარვეზის გასწორება. სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 24.04.2015 წლის #1857818 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი–გლდანი, მიკრო/რაიონი "ა", ხიზაბავრის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი N18/73) ი.ბ.ა. "გლდანი – 999"–ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი N01.11.12.018.073) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 25 აპრილიდან 2016 წლის 25 დეკემბრის ჩათვლით. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დამკვეთად დაფიქსირდა ი.ბ.ა.,გლდანი 999“.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, კერძოდ კი საცხოვრებელი ფართობის დათვლის დროს გამოტოვებულ იქნა მეთერთმეტე სართულის ფართი 894.3 კვ.მ, ხოლო საზაფხულო ფართის დათვლის დროს – მეჩვიდმეტე სართულის საზაფხულო ფართი 402 კვ.მ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელი მოითხოვს სამსახურის 24.04.2015 წლის #1857818 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას და გასწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების შემდეგი სახით დაფიქსირებას:

•საცხოვრებელი ფართობი 14948.9
•საზაფხულო ფართობი 2510.6
•საერთო ფართობი 23824.9

სამსახურმა 2015 წლის 7 ივნისის AR1316303 განცხადებით წარმოდგენილი შესწორებული ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა, 24.04.2015 წლის #1857818 ბრძანებით შეთანხმებულ საპროექტო დოკუმენტაციას და დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა შესაბამისობაშია შეთანხმებულ სამშენებლო დოკუმენტაციასთან. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 24.04.2015 წლის #1857818 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge